შპს "მაგთიკომი"
№ ED-21/06/07-008
07-06-2021 წ.

მაგთიკომი
MAGTICOM

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ კახი ბექაურს

წევრებს: ბატონ ვახტანგ აბაშიძეს,
ქალბატონ ნათია კუკულაძეს,
ქალბატონ ეკატერინე იმედაძეს

ბატონო კახი, ბატონო ვახტანგ, ქალბატონო ნათია, ქალბატონო ეკატერინე,

წარმოგიდგენთ შპს „მაგთიკომის“ შენიშვნებს „სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულების დამტკიცების შესახებ” კომისიის 2010 წლის 6 ივლისის N3 დადგენილებაში ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით.

პროექტის დეტალურად გაცნობის და გაანალიზების შემდგომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროექტით შემოთავაზებული მოდელის არსებითი სიახლე არის - ნომრის პორტირების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობა.

შეგახსენებთ, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტში“ განხორციელებული (რომელიც ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვრიდან) ცვლილების შედეგად, არსებობს ხელშეკრულების დისტანციურად გაფორმების შესაძლებლობა. ამდენად, ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევა (პორტირების განხორციელება ოფისში მისვლის გარეშე) შესაძლებელია რეგლამენტში განხორციელებული ცვლილების საფუძველზეც, „სააბონენტო ნომრების პორტაბელუბის დებულებაში“ ცვლილების შეტანის გარეშე.

იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ:

ა) არ არსებობს რაიმე სახის ხარვეზი ან შეფეხება ნომრის პორტირების მოქმედ მოდელში; ბ) არსებობს პორტირების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობა, მოქმედი მოდელის გაუქმების გარეშე; გ) ახალი მოდელი დანერგვისას ოპერატორებს მოუწევთ ფინასების და ტექნიკური/ადამიანური რესურსის დახარჯვა, მიგვაჩნია, რომ „სააბონენტო ნომრების პორტაბელუბის დებულებაში“ ცვლილების შეტანის საფუძველი არ არის სათანადოდ დასაბუთებული და არგუმენტირებული კომისიის მხრიდან. გარდა ამისა, არ არის წარმოდგენილი კონკრეტული შეფასება/ანალიზი რა დადებითი/უარყოფითი შედეგები შეიძლება მოიტანოს ცვლილების განხორცილებამ ან რამდენად ადეკვატურია კონკრეტული მიზნის მიღწევის ეს საშუალება იმ ფინანსურ, ტექნიკურ და ადამიანური რესურსების ხარჯვასთან, რისი განხორციელებაც მოუწევთ ოპერატორებს.

საქართველო, თბილისი 0186, პოლიტკოვსკაიას ქ. N7 / 7 Politkovskaya St., Tbilisi 0186, Georgia
ტელ / Tel: (+995 32) 217 17 17; (+995 32) 217 17 77; ელ.ფოსტა / E-mail: office@magticom.ge
www.magticom.ge

დოკუმენტის ნომერი: 210607010

შ-21-6/2489
07.06.2021
2+1ფ

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნულ საკითხებზე სიღრმისეული ანალიზის გარეშე, არ არის მიზანშეწონილი კომისიამ წარმოდგენილი ფორმით განახორციელოს ცვლილება „სააბონენტო ნომრების პორტაბელუბის დებულებაში“.

პატივისცემით,

ანდრია ზოდელავა
გენერალური დირექტორის მოადგილე

დოკუმენტის ნომერი: **210607010**

Digitally signed by MagtiCom LLC
2021.06.07 17:06:33 +0400